**სტუ-ს პროფესორების Erasmus+ მობილობა**

**ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტში**

2019 წლის 9-17 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების პროფესორები, თამარ ლომინაძე და ია მოსაშვილი Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროექტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ნიტრას კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტში.

სტუ-ს პროფესორების მობილობა განხორციელდა Erasmus+ გაცლითი პროექტის კოორდინატორი უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე, ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში.




მობილობის მიზანი იყო საერთაშორისო ინოვაციური სწავლების გამოცდილების გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული პროფესიული კავშირების დამყარება და შემდგომი განვითარება.



ახალგაზრდა ქართველი პროფესორების მიერ ჩატარებული სასწავლო კურსები ეხებოდა ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიას, ტექნოლოგიასა და დიზაინს, ციფრული სისტემების დიზაინს. მათ თითოეული მიმართულებით 8 სთ ჩაატარეს ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და დასახეს შემდგომი თანამშრომლობის გზები.

